პროექტი

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2024 წლის ---- მარტი
ქალაქი ბათუმი

# განკარგულება N

**ქალაქ ბათუმში, ნოდარ დუმბაძის ქ. N3-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ხასან მიქელაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე**

„კულტურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. ხასან მიქელაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, ნოდარ დუმბაძის ქუჩა N3-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

# განმარტებითი ბარათი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში ნოდარ დუმბაძის ქ. N3-ში მდებარე სახლზე ხასან მიქელაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

## ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

**ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:**

საქართველოს დამსახურებულ არტისტს, ცნობილ ხელოვანსა და საზოგადო მოღვაწეს - ხასან მიქელაძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თეატრალური და მუსიკალური კულტურის განვითარების სფეროში. 1938 წელს, ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მსახიობად მუშაობდა ხულოს (1938-1940; 1942-1948), ბათუმის (1940-1941) თეატრებში. 1948-1952 წლებში იყო აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი, ხოლო 1952 წლის კვლავ ბათუმის თეატრშია. ხასან მიქელაძე ძირითადად ასრულებდა სახასიათო როლებს. მათ შორის აღსანიშნავია: გიჟუა (ა. ცაგარელის "რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), გელა (ა. წერეთლის "პატარა კახი"), დავით დადიანი (მ. მრევლიშვილის "ნიკოლოზ ბარათაშვილი"), გელა (ვაჟა-ფშაველას "მოკვეთილი"), აპრაკუნე (ი. ვაკელის "აპრაკუნე ჭიმჭიმელი"), კოტე (ვ. კანდელაკის "ორი სპეციალისტი"), პოლკოვნიკი ბატურინი (ნ. ბოიარინოვის "იმათ მხარეში"), გრაფი დელნერი (ა. დენერის და კორმონის "ორი ობოლი") და სხვ.

1967 - საქართველოს დამსახურებული არტისტი

1955 - აჭარის დამსახურებული არტისტი

**ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ნოდარ დუმბაძის ქ. N3-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს ხასან მიქელაძის მემორიალური დაფა.

## ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულაქტებთან**

**პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულაქტებთან:**

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

**ე) პროექტის ავტორი:**

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ოლღა ჟღენტი – „ასოციაცია „პარტიას" თავმჯდომარე.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**საკრებულოს განათლების, კულტურის,**
**ტურიზმისა და სპორტის საკითხთა**
**კომისიის თავმჯდომარე ლევან ცხოიძე**